სახელი: ლია

გვარი: წოწონავა

ასაკი: 14 წლის

სკოლის სახელწოდება: ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა

კლასი: IX კლასი

„წერილი ევროპელ თანატოლს-დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე“

ჩემო მეგობარო, საქართველო დიდი ისტორიის მქონე პატარა ერია, რომლის შვილებსაც თავიანთი საგმირო საქმეებით მთელი მსოფლიოსთვის დაემახსოვრებინათ თავი. ქართველი ხალხი ოდითგანვე იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ჩვენი მეზობელი ქვეყნები ყოველთვის ავიწროვებდნენ ამ პატარა სახელმწიფოს, მაგრამ ქართველები არ ნებდებოდნენ და თავს სწირავდნენ, რათა საკუთარი ქვეყანა დაეცვათ მტრებისგან. აქ თითოეულ თარიღს საკუთარი ისტორია აქვს და ყველა ამბავს თავისი გმირი ჰყავს. მგლების ხროვაში ხშირად ჩავვარდნილვართ, მაგრამ თავი არასდროს დაგვიხრია და ჯიუტად გაგვიგრძელებია დამოუკიდებლობისკენ სვლა. ბევრი მტკივნეული დღე გადაგვიტანია. წინაპრების სისხლით შეღებილა ჩვენი ულამაზესი ველები. მიუხედავად ამისა, ყოველთვის გვქონდა მიზანი, ვყოფილიყავით თავისუფალი ერი და ყველაფერს ვაკეთებდით ამის მისაღწევად.

ამ გადმოსახედიდან მარტივია ვიცხოვროთ დამოუკიდებელ ქვეყანაში, მაგრამ რის ფასად დაგვიჯდა და როგორ მივაღწიეთ ამას, ესეც ძალიან მტკივნეული ამბავია. ამდენმა გამოწვევამ ქართველი ერი ერთ მუშტად შეკრა და მტრებთან მედგრად მებრძოლ ხალხად ვიქეცით. მეზობელი ქვეყნები ცდილობდნენ ჩვენს შთანთქმასა და განადგურებას, მაგრამ ქართველი რისი ქართველი იყო ეს რომ დაეშვა და მისი სახსენებელი დავიწყებოდა მსოფლიოს. ისინი ხშირად გვავიწროვებდნენ, თავისუფალი აზრის გამოხატვის უფლებას გვიკრძალავდნენ.მათი ბრჭყალების ქვეშ ცხოვრებას ვერ ვეგუებოდით.ქვეყნის თითოეული წერტილიდან თავს გვესხმოდნენ და ხშირად დახმარების ნაცვლად,მტრის წინაშე მარტოს გვტოვებდნენ. ამის მიუხედავად, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო „დამოუკიდებლობის აქტი“, მაგრამ მან სამი წელი გასტანა და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში წითელი არმია შემოიჭრა. ჩვენ რუსეთის მმართველობის ქვეშ მოვექეცით. ეს დღე ერთ-ერთი ტრაგიკული დღეა ჩვენს ისტორიაში. კოლაუ ნადირაძემ მას მიუძღვნა ლექსი,სადაც პოეტი ამბობს,რომ ამ დღეს თბილისს თალხი გადაეფარა და ირგვლივ დუმილმა დაისადგურა,რადგან პროტესტს უამრავი ახალგაზრდა შეეწირა. მეზობელი ბუმბერაზი სახელმწიფო მაინც არ თმობდა ჩვენს ქვეყანას, რომელიც კარგ ნადავლად მიაჩნდა,თუმცა მუდმივად მარცხდებოდა და იმედი უცრუვდებოდა. ქართველებს, რომლებსაც საკუთარი ენა და დამწერლობა გვაქვს ჩვენს ენაზე საუბარი აგვიკრძალეს. იმ დროსაც კი, როცა დამოუკიდებლები არ ვიყავით, მუდამ შინაგან თავისუფლებას ვგრძნობდით. ამისთვის ვიყავით დაბადებულნი და მისკენ მივისწრაფოდით. 1991 წლის 9 აპრილს მრავალწლიანი ბრძოლისა და პროტესტის შემდეგ საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა. თითოეულ პროფესიის წარმომადგენელს თავისი წვლილი შეჰქონდა მისკენ მიმავალი გზის გასანათებლად. მწერლები თავიანთ ნაშრომებში წინა პლანზე წამოწევდნენ თავისუფლების თემას და მოუწოდებდნენ საზოგადოებას, რომ კარგ ცხოვრებას სხვა ქვეყნის მმართველობის ქვეშ აზრი არ ჰქონდა. იწერებოდა ლექსები თუ მოთხრობები, რომელთა მიზანი ხალხის გამოფხიზლება იყო. ასევე

მუდმივი კავშირი გვქონდა ევროპულ ღირებულებებთან. ქართველი მწერლები მოგვიწოდებდნენ ევროპული განათლების სიკეთეებზე და გვსურდა დემოკრატიული ქვეყანა,ჩვენთვის მინიჭებული თითოეული უფლებით.

წლები გადის და ჩვენ ისევ დამოუკიდებლები ვართ, მაგრამ ვიმყოფებით საფრთხის ქვეშ, რადგან მეზობელი ქვეყანა მუდმივად ცდილობს ჩვენს შევიწროვებას. მას მიტაცებული აქვს ჩვენი ტერიტორიების დიდი ნაწილი, რომლის დაბრუნებასაც ქართველი ერი ბევრი წელია ცდილობს.საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს აღვნიშნავთ. ეს დღე ძალიან ძვირფასია ჩვენთვის, რადგან წინაპრების დაღვრილი სისხლის ფასად მოპოვებულ დამოუკიდებლობას გაფრთხილება სჭირდება. მითუმეტეს მაშინ, როცა ირგვლივ გვყავს მტრები, რომლებიც ჩვენს ერთ შეცდომას ელოდებიან ქვეყნის ხელში ჩასაგდებად. გასაკვირი არცაა,რომ ჩვენ,მომავალი თაობა,ვეცდებით დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, რადგან იმ წინაპრების სისხლი გვიჩქეფს, რომლებსაც ერთ ხელში გუთანი ეჭირათ, ხოლო მეორეში-ხმალი. ერთი ქართველი კი ათეულობით მტერს ებრძოდა სისხლის ბოლო წვეთამდე.

ეს არის ჩვენი ისტორიიდან ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღების მცირედი მიმოხილვა. თუ დაინტერესდებით ჩემი ქვეყნის ისტორიით, სიამოვნებითა და სიამაყით მოგიყვებით მის შესახებ.

პატივისცემით, თქვენი თანატოლი, ლია წოწონავა.

**Name:** Lia

**Surname:** Tsotsonava

**Age:** 14

**School name:** Poti Physics and Mathematics School

**Grade:** 9th

A Letter to a European Peer – From Independence to Freedom

Dear Friend,

Although Georgia is a small country in size, it is vast in history and spirit. Its sons and daughters are commemorated far beyond its borders for their courage and sacrifice. The Georgian people have consistently demonstrated unyielding determination in defending their homeland's sovereignty. Despite persistent efforts by neighboring powers to suppress our identity, we have never surrendered. Time and again, we have laid down our lives to shield our country from those who sought to extinguish its independence.

In Georgia, every historical date carries a profound meaning, and every chapter of our past is marked by the valor of our heroes. We have faced invasion, occupation, and isolation. Yet we have never bowed our heads. Guided by an unwavering will, we followed the arduous path toward freedom. Our fields have been drenched in the blood of generations who stood for liberty, but even through the darkest days, we never lost sight of our ultimate goal—to be a free nation. And we pursued this goal relentlessly.

Today, living in an independent Georgia might seem natural, even effortless. But the journey here was marked by unimaginable hardship and sacrifice. It was precisely these trials that forged a unified national identity. Our people rose as one, resilient in the face of destruction. While foreign powers attempted to erase our culture, language, and values, we refused to vanish quietly into history. Though our voices were stifled, our thoughts censored, and our hopes attacked from all sides, we held on. Promised assistance often never arrived, and still, we stood alone with dignity.

Nevertheless, on May 26, 1918, the National Council of Georgia proclaimed the "Act of Independence," establishing the Democratic Republic of Georgia. Unfortunately, this hard-won freedom lasted a mere three years. On February 25, 1921, the Red Army invaded, and our sovereignty was once again stripped away. That day remains one of the darkest in Georgian history. In response, poet Kolau Nadiradze described the fall of Tbilisi as the descent of a black shroud over the city—a day when silence and sorrow reigned, and countless young lives were lost in defiance.

The ambitions of our powerful neighbor remained unchanged. They viewed Georgia not as a partner, but as a possession. They outlawed our language, sought to assimilate our culture, and attempted to replace our national identity. Yet despite these efforts, we never relinquished our internal sense of freedom. Even in captivity, we nurtured our spirit. We are a people born to be free, and we never ceased to strive for that birthright.

At last, on April 9, 1991, Georgia restored its independence. This victory was not the work of a single group, but the result of collective national effort. Writers, intellectuals, and artists played a crucial role in awakening public consciousness. Through literature and art, they reminded people that living in comfort under foreign domination was nothing but an illusion. Their works rekindled national pride and reinforced our alignment

with European ideals. We aspired to become part of a democratic community, where every individual's rights and freedoms would be upheld.

Today, Georgia remains an independent state, but not without challenges. A part of our territory remains occupied by a neighboring country that continues to undermine our sovereignty. The wounds are still fresh, and our struggle is ongoing.

Each year, we commemorate May 26 as Independence Day—a date etched into the heart of every Georgian. It symbolizes the blood, resilience, and faith of those who came before us. It is not merely a celebration; it is a solemn reminder of our responsibility. My generation is fully prepared to defend our homeland and its future. After all, the blood of our ancestors runs through our veins—heroes who tilled the land with one hand and defended it with the other. Every Georgian stands ready to fight for freedom, for independence, and for the dream of a stronger, sovereign nation.

This is the shortest review of the most important dates from the history of Georgia. If you get interested in deep details I proudly and with great satisfaction will write you more.

Regards from your peer

LikaTsotsonava